პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 37-ე წელი № 220 (10614) | ხუთშაბათი, 20 სექტემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

ნ. ა. ბულგანინის პასუხი

კინგსბერი სმიტის კითხვებზე

ამერიკის დეპეშათა სააგენტოს „ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის“ ვიცე-პრეზიდენტმა და გენერალურმა მმართველმა კინგსბერი სმიტმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის სახელზე გამოგზავნა დეპეშა, რომელშიც სთხოვს უპასუხოს სუეცის არხის პრობლემასთან დაკავშირებულ მთელ რიგ კითხვებზე.

ქვემოთ ქვეყნდება ნ. ა. ბულგანინის პასუხი კინგსბერი სმიტის კითხვებზე.

კითხვა: თავიდან რომ ავიცილოთ შუა აღმოსავლეთში ომის საფრთხე, მზად არის თუ არა სსრ კავშირის მთავრობა დაუყოვნებლივ მიიღოს მონაწილეობა ეგვიპტის, ინდოეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მთავრობებთან შეხვედრაში სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე?

პასუხი: საბჭოთა მთავრობამ უკვე გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა სუეცის საკითხის სამართლიანი, მშვიდობიანი გადაჭრა მოლაპარაკების გზით. იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ამ საკითხის ასეთ გადაწყვეტას, საბჭოთა მთავრობა მზად არის მონაწილეობა მიიღოს ეგვიპტის, ინდოეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მთავრობათა მეთაურების თათბირში.

კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა, რომ ჩამოთვლილ სახელმწიფოთა ხელმძღვანელების კონფერენცია შეძლებდა გამოენახა სუეცის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა, რომელიც, ერთი მხრივ, შეუნარჩუნებდა სუვერენიტეტს ეგვიპტეს, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფდა არხით ნაოსნობის თავისუფლებას მთელი მსოფლიოს გემებისათვის.

პასუხი: უეჭველია, სუეცის საკითხის ასეთი მშვიდობიანი გადაჭრა შეიძლება გამოინახოს. როგორც ცნობილია, ეგვიპტის მთავრობამ უკვე განაცხადა, რომ მზად არის სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ერთად გადასინჯოს კონსტანტინოპოლის 1888 წლის კონვენცია და დადოს შეთანხმება არხით ნაოსნობის თავისუფლების შესახებ. ეგვიპტის ეს წინადადება გზას უხსნის სუეცის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას. თავისთავად ცხადია, რომ არხში ნაოსნობის თავისუფლების შესახებ შესაბამისი შეთანხმება საბოლოო ანგარიშით მიღწეულ უნდა იქნას ყველა დაინტერესებული ქვეყნის მონაწილეობით ფართო საერთაშორისო კონფერენციაზე ამ საკითხის განხილვის შედეგად.

კითხვა: თუ აღნიშნულ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები მიაღწევენ შეთანხმებას სუეცის არხის პრობლემის მოწესრიგებაზე, მზად იქნება თუ არა სსრ კავშირის მთავრობა ეს შეთანხმება სარატიფიკაციოდ გადასცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას?

პასუხი: საბჭოთა მთავრობა წინააღმდეგი არ იქნებოდა, რომ ეს შეთანხმება გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

კითხვა: როდის იქნებოდა სსრ კავშირის მთავრობა მზად მონაწილეობა მიეღო ასეთ შეხვედრაში და, თქვენი აზრით, სად იქნებოდა მოხერხებული მისი მოწყობა?

პასუხი: სსრ კავშირის მთავრობა მზად არის მონაწილეობა მიიღოს ასეთ შეხვედრაში მის მონაწილეთათვის მოხერხებულ ყოველ დროს და ყოველ მისაღებ ადგილას, თუ ყველა დანარჩენი მოხსენებული მონაწილენი თანხმობას გამოთქვამენ აღნიშნულ შეხვედრაზე.

ასეთი ადგილი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგალითად, ჟენევა, რა თქმა უნდა, თუ შვეიცარიის მთავრობა დადებითად ეკიდება ამას.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲛᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

მექსიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ა. დე როზენცვეიგ დიასმა 16 სექტემბერს დარბაზობა გამართა ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის გამოცხადების დღის გამო.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. თ. თევოსიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ტ. კომაროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ი. ბაზიკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი კ. ა. კოჩეტკოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, კულტურის მოღვაწეები.

სტუმრებს შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და საელჩოების თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

(საკდესი).

მᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

გუშინ თბილისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა რესპუბლიკის მშენებელთა, არქიტექტორთა, სამშენებლო მასალების მრეწველობისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მოიწვიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ.

თათბირს ესწრება ათასამდე კაცი.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა.

საქართველოს მშენებლების, სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენი მასალების საწარმოთა კოლექტივების, არქიტექტორების, დამპროექტებლების და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის, არსებული ნაკლოვანებებისა და მომდინარე წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების აუცილებელი შესრულების საბრძოლო ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ქადაგიძე.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრმა ხ. ლორთქიფანიძემ, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ი. მოსტოვოიმ, საქმიროიენერგომშენის ტრესტის მმართველმა ვ. ჭანკოტაძემ, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგემ ე. ამიჩბამ, პირველი საერთო-სამშენებლო ტრესტის მთავარმა ინჟინერმა რ. ნინიძემ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მელაძემ, ამერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველმა ნ. გოორგაძემ, საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორმა ა. ლომინაძემ, საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრის მოადგილემ გ. ცინცაბაძემ, „კავგიპროტრანსის“ ინჟინერმა სტრიჟინსკიმ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ჩოგოვაძემ, პირველი საერთო-სამშენებლო ტრესტის მესამე სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ა. გოგაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა კ. ზავრიევმა, რუსთავის ბეტონის ცენტრალური კომბინატის უფროსმა ოსტატმა ი. სოფრომაძემ, „საკტრანსსტროის“ უფროსმა ა. ცატუროვმა.

დღეს, დილის 9 საათიდან თათბირი განაგრძობს მუშაობას.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ VIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

პეკინი, 18 სექტემბერი. (საკდესი). მეოთხე დღეა მუშაობს ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობა. დღევანდელ სხდომაზე პირველი გამოვიდა დელეგატი ლინ ტე (ხებეის პროვინციის პარტორგანიზაცია), რომელიც შეეხო სოფლის მეურნეობის კოოპერირების საკითხებს.

შემდეგ დამსწრეთა ტაშის გრიალში ტრიბუნაზე ადის საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ხელმძღვანელი ჟაკ დიუკლო. მან ფრანგი კომუნისტების მხურვალე სალამი გადასცა ჩინეთის კომუნისტებს. საფრანგეთის მუშათა კლასის, მთელი ხალხის სიმპათია, ამბობს იგი, სახალხო ჩინეთის მხარეზეა. საფრანგეთის მთავრობის პოზიცია, რომელსაც დღემდე არ დაუმყარებია დიპლომატიური ურთიერთობა ჩინეთთან, არ გამოხატავს ხალხის აზრს.

აღნიშნა რა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობენ უგულებელყონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი, დიუკლომ მთელი დარბაზის ტაშის გრიალში განაცხადა, რომ ეს ცდები განწირულია ჩასაფუშავად. თავისი სიტყვის დასასრულს მან გამარჯვება უსურვა ფრანგი ხალხისა და ჩინელი ხალხის მეგობრობას.

იტალიის კომუნისტური პარტიის სახელით ყრილობას მიესალმა მაურო სკოჩიმარო, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ. ჩინეთის რევოლუციამ, თქვა მან, წინ წასწია მშვიდობის საქმე, ახალი ძალები შემატა პროგრესისათვის მებრძოლებს.

სკოჩიმარომ აღნიშნა, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობა განამტკიცებს სოციალიზმის გამარჯვების რწმენას.

სიტყვას ამბობს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ხელმძღვანელი ვაცლავ კოპეცკი. ჩეხოსლოვაკიის ხალხს, — ამბობს იგი, — გულწრფელად ახარებს ჩინელი ხალხის მიღწევები, მიაჩნია ისინი მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის გამარჯვების საწინდრად. ჩეხოსლოვაკია-ჩინეთის მეგობრობა ურღვევია.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ამხ. პინ დე-ხუაის. თავის სიტყვაში იგი შეეხო ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მშენებლობას, რომელმაც დიდი და ძნელი გზა განვლო, გადაიქცა მძლავრ ძალად და მოიპოვა გამარჯვება. როგორც პინ დე-ხუაიმ აღნიშნა, ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ გამარჯვება მოიპოვა იმიტომ, რომ მას სწორად ხელმძღვანელობდა ჩინეთის კომუნისტური პარტია, იმიტომ, რომ მას მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ ხალხის ფართო მასები, იმიტომ რომ იგი ხალხის არმიაა.

პინ დე-ხუაიმ შემდეგ თქვა, რომ სოციალისტური მშენებლობისა და სოციალისტური გარდაქმნების პერიოდში ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წინაშე მდგომი ამოცანები ის არის, რომ დაიცვას სამშობლოს სოციალისტური მშენებლობა, დაიცვას ჩინეთის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და უშიშროება, ყოველთვის მზად იყოს გაათავისუფლოს კუნძული ტაივანი, განამტკიცოს შინაგანი წესრიგი.

ჩვენ, ამბობს პინ დე-ხუაი, არასოდეს წარსულში არ განგვიზრახავს და ახლაც არა გვაქვს განზრახვა რაიმე აგრესიისა სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. ნამდვილი ვითარების მოთხოვნების მიხედვით დაშლილ იქნა და სახალხო მეურნეობაში გაიგზავნა 31 დივიზიისა და 8 ცალკეული პოლკის პირადი შემადგენლობა, რაც სახალხო მეურნეობაში გაგზავნილ არმიის კადრის მუშაკებთან ერთად 5 მილიონ კაცს შეადგენს. ახლა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის რიცხვი, ახლად გაწვეულთა ჩათვლით, ჩინეთის განთავისუფლების შემდეგ მის მაქსიმალურ რიცხვთან შედარებით, შემცირდა 2,7 მილიონზე მეტი კაცით. სამხედრო ხარჯები ჩინეთის 1951 წლის საერთო ხარჯების 48 პროცენტიდან შემცირდა 19,98 პროცენტამდე 1956 წელს. ჩვენ, თქვა პინ დე-ხუაიმ, სავსებით ვეთანხმებით საბჭოთა კავშირის წინადადებას — შეიარაღების საყოველთაო მოცილების შესახებ და თუ [illegible] ინტერესებ[illegible] ება შეთანხმებ[illegible] შევაძციროთ ჩვენი არმიის რიცხვი.

ჩინელ ხალხს, აცხადებს პინ დე-ხუაი, ესაჭიროება ხანგრძლივი მშვიდობა სოციალისტური მშენებლობის განსახორციელებლად. მას აგრეთვე ესაჭიროება თანამედროვე რევოლუციური არმია, რათა პასუხი გასცეს იმპერიალისტთა შესაძლო თავდასხმას და დაიცვას სოციალისტური მშენებლობა.

დელეგატები გულთბილად შეხვდნენ ალბანეთის შრომის პარტიის დელეგაციის ხელმძღვანელს ენვერ ხოჯას. მან ყრილობას გადასცა ალბანეთის ხალხისა და შრომის პარტიის სალამი. ხელმძღვანელობენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილებით, ამბობს ორატორი, ჩინელმა კომუნისტებმა ჩინეთი გადააქციეს მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. ენვერ ხოჯამ გამარჯვება უსურვა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკს.

სიტყვა ეძლევა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის დელეგაციის მეთაურს დ. დამბას. ჩინეთის კომუნისტური პარტია, ამბობს იგი, მტკიცე რწმენით მიდის სოციალიზმისაკენ, გაბედულად ძლევს სიძნელეებს, გვიჩვენებს ხალხისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითს.

უამბო რა ყრილობის დელეგატებს, თუ როგორ იბრძვის მონღოლი ხალხი სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის, დ. დამბამ თქვა, რომ მონღოლი ხალხის ბედნიერების საწინდარია მეგობრობა და თანამშრომლობა სახალხო ჩინეთთან, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანასთან. დამბამ ყრილობის პრეზიდიუმს გადასცა წითელი დროშა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან.

ბულგარელი კომუნისტების სახელით ყრილობას მიესალმა ანტონ იუგოვი. ჩვენ, ამბობს იგი, გულდასმით ვადევნებთ თვალყურს თქვენს წინსვლას. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახით ბულგარელი ხალხი მიესალმება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ახალი დასაყრდენის გამოჩენას. ხელმძღვანელობთ რა მარქსიზმ-ლენინიზმით, თქვენ მოკლე დროში დიდ წარმატებებს მიაღწიეთ და მტკიცე რწმენით მიდიხართ თქვენს მიერ არჩეული გზით.

უნგრეთის მშრომელთა პარტიის დელეგაციის მეთაურმა ი. კადარმა თავის სიტყვაში მაღალი შეფასება მისცა ჩინელ კომუნისტთა წარმატებებს თავიანთი ქვეყნის პირობებში მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად გამოყენების საქმეში.

გამოაქვეყნა რა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობისადმი, კადარმა ჩინელ ამხანაგებს გადასცა წითელი დროშა. დელეგატები ფეხზე დგებიან და ოვაციას მართავენ.

შესვენების შემდეგ სხდომაზე პირველი გამოვიდა ამხ. ბო ი-ბო.

ცხოვრება გვიჩვენებს, ამბობს იგი, რომ ჩინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გზა, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, სწორია და რომ მხოლოდ მისი გადაჭრით განხორციელების გზით შეიძლება დაახლოებით 15 წლის განმავლობაში ძირითადად დამთავრდეს ჩინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და ჩინეთი გადაიქცეს დიდ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

ბო ი-ბომ მოიყვანა მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ჩინეთის წარმატებებს ეკონომიური განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში.

ხხდომს დამთავრდა სიაო ხუეი-ნას გამოსვლით, რომელიც მეთაურობს სრულიად ჩინეთის ქალთა დემოკრატიული ფედერაციის უხანის განყოფილებას.

ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

შეასრულეს ბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმა

გარდაბნისა და წყალტუბოს რაიონების კოლმეურნეობებმა შეასრულეს ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა.

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 500 ტონა ბოსტნეული, ხოლო წყალტუბოს რაიონისამ — 400 ტონა.

(საქდესი).

რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავის „ტუ-104“ რეისი თბილისში

21 სექტემბერს მოსკოვიდან თბილისში ჩამოდის რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი „ტუ-104“, რომელიც თავის პირველ რეისს ახდენს ამ მარშრუტით. ამავე დღეს დილის 11 საათსა და 20 წუთზე (მოსკოვის დროით) „ტუ-104“ წავა მოსკოვს.

ბილეთების შეძენა შეიძლება აეროფლოტის საქალაქო სააგენტოს სალარო. (საქდესი).

სურათზე: თათბირის მონაწილეები (სოხუმი) ხუროების ბრიგადირი რ. შვილი, ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირი გ. ბარბაქაძე (ქუთაისი), № 2 ხრამჰესის მოწინავე მშენებლები (მარცხნიდან მარჯვნივ): ესპენკო, რუსთავის ბეტონის ცენტრალური გ. ალავერდოვი (მცხეთა), ლაჯანურჰესის გვირაბმშენებელთა ბრიგადირი ა. მერკულოვი № 2 ხრამჰესის მშენებლობის ხურო ზ. კომბინატის უფროსი ოსტატი ი. სოფრომაძე, გვირაბმშენებელთა ბრიგადირები ა. ნიშუტა და ა. ოლეინიკოვი, მებეტონეთა ბრიგადირი მ. ბაგირეოვი (რუსთავი). ბაქრაძე, მეექვსე საერთო სამშენებლო ტრესტის შემლესავთა ბრიგადირი (რუსთავი) შ. კოკოზაშვილი, მებეტონეთა ბრიგადირი ფოტო ვ. გინზბურგისა.

გამოვიყენოთ მოწინავეთა გამოცდილება, ვზარდოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა

★ ★ ★

გარაქალა თქვენს მარჯვენას!

სოფიო ცინცაძე.

ლიდა ჭითანავა.

ნინო ღამბარაშვილი.

მეცხოველეობის ახალი მძლავრი აღმავლობის მისაღწევად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხოველეობის ფერმების მრავალი მუშაკი დაწინაურდა. ბევრმა ფერმის მუშაამ ვადაზე ერთი თვით ადრე დიდი გადაჭარბებით შეასრულა წველადობის წლიური გეგმა.

გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი სოფიო ცინცაძე სახასხელად ამთავრებს სამეურნეო წელს. მას მოსავლელად მიჩენილი ჰყავს 16 ძროხა. წელს ახე მოაწყო მუშაობა, რომ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე უზრუნველყო 2.263 ლიტრი რძის მიღება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.100 ლიტრისა.

დაბა ბოლნისის სტალინის ჩაბელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწველავი ლიდა ჭითანავა კარგად არის დაუფლებული თავის პროფესიას. მოსავლელად მიჩენილ 11 ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე წლიური გეგმით უნდა მიეღო 1.300 ლიტრი რძე, ფაქტიურად 11 თვეში მიიღო 1.967 ლიტრი.

ხაშურელები ხშირად აქებენ სოფელ ვაეის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწველავს ნინო ღამბარაშვილს. იგი უფლის 14 ძროხას, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე უკვე მიიღო 1.775 ლიტრი რძე. ეს წლიურ გეგმას 775 ლიტრით სჭარბობს.

ბარაქალა თქვენს მარჯვენას, მოწინავე მეცხოველეებო!

სასარგებლო დარგი

პარტიის XX ყრილობამ საბრძოლო ამოცანად დაგვისახა მეცხოველეობის ახალი მკვეთრი აღმავლობა. ჩვენმა კოლმეურნეებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი სოფლის მეურნეობის ამ სასარგებლო დარგის წინსვლის საქმეს.

კახთელმა მეცხოველეებმა წინა წლებთან შედარებით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდების საქმეში. კოლმეურნეობის გამგეობამ და საკოლმეურნეო პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ყველა პირობა შექმნეს გასულ ზამთარში პირუტყვის საუკეთესოდ გამოზამთრებისათვის. აგებული გვაქვს კაპიტალური საძროხე 80 სულისათვის. ასეთივე სადგომა აშენდა საზამთრო საძოვრებზე.

შარშან პირუტყვის წვნიანი საკვებით უზრუნველყოფის მიზნით დასილოსდა 500 ტონა საკვები, აქედან 62 ტონა რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სიმინდის ტარო. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ფერმების დაკომპლექტებას საქმის მოყვარული, კეთილსინდისიერი კადრებით.

წელს მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ გათვალისწინა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა აეყვანა 532 სულამდე, მათ შორის ძროხის სულადობა 162-მდე, ხოლო თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიეღო 940 კილოგრამი რძე ნაცვლად შარშან მიღებული 850 კილოგრამისა, სახელმწიფოსათვის სავალდებულო და სახელმწიფო შესყიდვის წესით ჩაებარებინა 20.225 კილოგრამი ხორცი, 38.800 კილოგრამი რძე.

წელს წინა წელთან შედარებით დაგეგმილი იყო ხორცის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სახოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გაგვეზარდა 3,6 ცენტნერით ანუ აგვეყვანა 27,6 ცენტნერამდე, აქედან ღორის ხორცის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე გაგვზარდა 1,3 ცენტნერით და აგვეყვანა 15,3 ცენტნერამდე, ხოლო რძის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სახოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აგვეყვანა 129 ცენტნერამდე.

მიმდინარე წლის 15 სექტემბრისათვის მთლიანად შესრულებულია პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა, მათ შორის ძროხის სულადობისაც.

თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 950 კილოგრამი რძე და წველადობის წლიური გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. გასული წლის ამავე პერიოდისათვის საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებული იყო 740 კილოგრამი რძე. ფერმის მომვლელები და მწველავები პირობას იძლევიან სამეურნეო წლის ბოლოსათვის თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 1.000 კილოგრამი რძე.

დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარებისა და მიყიდვის გეგმა. ნაცვლად 38.800 კილოგრამისა ჩაბარებული და მიყიდულია 57.065 კილოგრამი რძე.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალი ადამიანი დაწინაურდა. გულმოდგინე მუშაობით გამოირჩევა ჯ. ნარმანია, რომელსაც ფერმაში მუშაობის 16 წლის სტაჟი აქვს. მან წველადობის წლიური გეგმა 1 სექტემბრისათვის შეასრულა, ხოლო 15 სექტემბრისათვის მისთვის მოსავლელად მიჩენილი 10 ძროხიდან თვითეულზე მიიღო 1.870 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.700 კილოგრამისა. იგი ახლა იმისათვის იბრძვის, რომ 1 ოქტომბრისათვის თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გეგმის გადამეტებით მიიღოს 200 კილოგრამი რძე.

ბ. კეიდია.

• • •

ჩევა ჯ. ნარმანია, რომელსაც ფერმაში მუშაობის 16 წლის სტაჟი აქვს. მან წველადობის წლიური გეგმა 1 სექტემბრისათვის შეასრულა, ხოლო 15 სექტემბრისათვის მისთვის მოსავლელად მიჩენილი 10 ძროხიდან თვითეულზე მიიღო 1.870 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.700 კილოგრამისა. ეს ამ დროს, როდესაც ზემო სვანეთის ხაძოვრები საკმაოა დასავლეთ საქართველოს მომთაბარე ყველა ფერმისათვის. ამ საძოვრების კოლმეურნეობებზე წესიერად გაწაწილდას და გაუმჯობესებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს საქართველოს ხსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

ჩვენს ხაზრუნავს ახლა ზამთრისათვის კარგად მომზადებასთან ერთად შეადგენს პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესება, უმთავრესად ადგილობრივი შერჩეული ჯიშებით. ისინი ჩვენს მომთაბარე პირობებს უკეთ ეგუებიან და კარგი მერძეულობითაც ხასიათდებიან. ამის საფუძველზე მკვეთრად უნდა გადიდდეს რძისა და ხორცის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე, ხოლო ღორის ხორცისა — ყოველ ას ჰექტარ სახნავზე. ამ გზით შეგვძლებთ ნაკლები დანახარჯებით მივიღოთ მეტი პროდუქტები.

ბ. კეიდია,

ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ბიბლიოთეკა

დავაჩქაროთ სასილოსე კოშკების მშენებლობა

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯგერდის სუვოროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ჭ. ქობა) ამ გაზაფხულზე დაიწყეს ტიპური საძროხის მშენებლობა, რომელიც დასასრულს უახლოვდება. გარდა ამისა, აქ უკვე აშენეს 50 ტონის ტევადობის ერთი სასილოსე კოშკი.

მაგრამ პირუტყვის სადგომებისა და სასილოსე კოშკების მშენებლობის მხრივ რაიონში ჯერ კიდევ მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებია. სოფელ ბედიის კოლმეურნეობა „განთიადში“ (თავმჯდომარე ვ. ჭკადუა) საზოგადოებრივ პირუტყვს უვარგის, ხის ფარფალალა შენობაში ინახავენ და არ ზრუნავენ ახალი, თბილი სადგომის აშენებისათვის. ცუდი მდგომარეობაა სასილოსე კოშკის მშენებლობის საქმეშიც. წელს გეგმით 50 ტონის ტევადობის სასილოსე კოშკი უნდა აეგო. რაისაბჭოს აღმასკომმა კოლმეურნეობას საამისოდ 8 ტონა ცემენტი და სხვა საშენი მასალა გამოუყო, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობას დღემდე არ შეუსყიდია ცემენტი.

სოფელ ბედიის კოლმეურნეობა „გამარჯვებამ“ (თავმჯდომარე ქ. ცაცუა) გეგმით ერთი 50-ტონიანი სასილოსე კოშკი უნდა აეგო. ამისათვის მას საჭირო რაოდენობით გამოუყვეს ცემენტი, აქვია მშენებლობისათვის საჭირო სხვა მასალაც, მაგრამ მშენებლობა მაინც არ დაუწყიათ. მსგავსი მდგომარეობაა სოფელ გუფის ბულგანინის სახელობის, ამავე სოფლის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობებში და სოფელ არასაძიხის კოლმეურნეობა „არასაძიხში“.

ცალკეულმა რაიონულმა ორგანიზაციებმა შეფობა იკისრეს და პრაქტიკული დახმარება აღუთქვეს კოლმეურნეობებს პირუტყვის სადგომებისა და განსაკუთრებით სასილოსე კოშკების მშენებლობაში. მაგრამ ბევრგან საქმე დაპირებით ამოიწურა. სოფელ გუფის ხრუშჩოვის სახელობისა და ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობები ჯერჯერობით შეფის — „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტიდან (მმართველი ამხ. გამხარაშვილი) ვერავითარ დახმარებას ვერ გრძნობენ. ასევე არ ეხმარება სოფელ არასაძიხის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობას ოჩამჩირის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კოშუნალური განყოფილების სამშენებლო კანტორა.

საკვების დასილოსების ამ გადამწყვეტ დღეებში ასეთი ჩამორჩენა საფრთხეს უქმნის მეცხოველეობის ფერმების ზამთრისათვის დროულად მომზადებას.

ვ. დოხნაძე.

მოკლედ

⊙ **გურჯაანის** რაიონის სოფელ მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანებამ“ 1 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა წველადობის გეგმა. 51 ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე მიღებულია 1.922 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.500 კილოგრამისა.

⊙ **მცხეთის** რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 2.473 კილოგრამი რძე, გეგმა კი 1.150 კილოგრამს ითვალისწინებდა.

⊙ **ძიგულეთის** რაიონის სოფელ ჭაქუთის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობამ საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 1.340 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.310 კილოგრამისა. სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულმა მწველავმა ო. ფოკაიდმ 12 ძროხიდან თვითეულზე მიიღო 2.666 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.500 კილოგრამისა.

ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე

ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობები დროულად შეუდგნენ საზამთრო საძოვრებზე ცხვრისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. კოლმეურნეობებში ჩამოაყალიბეს საკვების მომპოვებელი ბრიგადები, რომლებშიც შერჩეულ იქნენ სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები.

ზამთრისათვის მზადებაში კოლმეურნეობებს კარგი დახმარება გაუწიეს ქალაქ სტალინირის საწარმო-დაწესებულებებმა, მათმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე კოლმეურნეობების დასახმარებლად გაგზავნეს ავტომანქანები. ამ მანქანებით მეცხოველეობის სადგომებთან მიზიდეს ათასობით ცენტნერი თივა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მტს-ებიდან ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე საკვების დასამზადებლად გაიგზავნენ კვალიფიციური მექანიზატორები. ბევრმა მათგანმა თავი ისახელა მაღალნაყოფიერი შრომით. მაგალითად, ლენინგორის მტს-ის ტრაქტორისტი ვ. კუდილაევი, რომელიც სათიბ აგრეგატს მართავდა, დღიურ დავალებებს 200-250 პროცენტით ასრულებდა. სტალინირის მტს-ის მექანიზატორმა ი. ხუბაევმა თიბვის დავალება დიდი გადამეტებით შეასრულა.

მისაბაძია ბალაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებელი ბრიგადის მუშაობა. ქების ღირსია ამ ბრიგადის წევრი ნატო ბალაშვილი. იგი მამაკაცებს მხარში ამოუდგა და ხან სათიბ აგრეგატზე, ხან კი თივის დაზვინვაზე მუშაობდა, ამასთან ბრიგადის წევრებს საჭმელს უმზადებდა.

თიბვაზე და დაზვინვაზე ნაყოფიერად იმუშავეს აგრეთვე ჩიგოიანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ვ. გურწიევმა, ავტომანქანის მძღოლმა მ. ხეტეევმა, ბაგინის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობიდან ბ. ხეტეევმა, პავლიანის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ვ. ხოკრიშვილმა და სხვ.

ამასთან საზამთრო საძოვრებზე არის საკვების დამზადებისადმი უპასუხისგებლო დამოკიდებულების ფაქტები. წოლდის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებელმა ბრიგადამ (ხელმძღვანელი გ. მარგიევი) გააჭიანურა თივის დამზადება. ეს მდგომარეობა რატომღაც არ აღელვებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. ხაჩიროვს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ყველადაბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებელი ბრიგადა. კოლმეურნეობის გამგეობისა და მისი თავმჯდომარის ვ. ჩიტიშვილის არასწორი განკარგულებით მათ რამდენიმე დღეს შეწყვიტეს თივის აღება და დამზადება.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ცხვრისათვის წვნიანი საკვების მარაგის შექმნას. კოლმეურნეობები პრაქტიკულად დარწმუნდნენ, რომ სილოსი მეცხოველეობის აღმავლობის დაუშრეტელ შესაძლებლობებს შეიცავს. ამით აიხსნება, რომ წელს რაიონის კოლმეურნეობებმა პირველად ჩადეს სილოსი ცხვრისათვის ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე. დავალება შესრულებულია 150 პროცენტით. მარტო ლარგვისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ ჩადო 60 ტონა, ჭორჭოხის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობამ — 30 ტონა, ლომბისის კოლმეურნეობა „დამკვრელმა“ — 20 ტონა სილოსი.

საკვების დამზადების ტემპის გაძლიერებასა და მწყემსთა ბინების, ცხვრის სადგომების მშენებლობის დაჩქარებაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ცეკავშირის სპეციალური საცალო ვაჭრობის ბაზას ჩრდილოეთ კავკასიაში. ბაზის მუშაკები ვალდებულნი არიან დროულად შეზიდონ საწვავი, ავტომანქანის საბურველები, ხეტყე და სხვა საშენი მასალები. მაგრამ ცეკავშირის ბაზა დროულად ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული მასალების სავაჭრო ქსელში შეზიდვას. საბურველების უქონლობით ავტომანქანების მოცდენა გამონაკლისი როდია. ცეკავშირი მოვალეა ისე მოაწყოს მუშაობა, რომ სრულად დაკმაყოფილოს კოლმეურნეობების მოთხოვნილება საშენ მასალებზე და ყველა სხვა საჭირო ინვენტარზე.

ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე თივის დამზადება და სადგომების მშენებლობა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობების გამგეობები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყველა ღონისძიებას განახორციელებენ იმისათვის, რომ ცხვრისათვის შექმნან მტკიცე საკვები ბაზა და მკაცრი ზამთრის შემთხვევაშიც უზრუნველყონ პირუტყვის საუკეთესოდ გამოზამთრება და პროდუქტიულობის გადიდება.

ი. ხაბალაშვილი,

საქართველოს კომპარტიის ლენინგორის რაიკომის მდივანი.

ჩორნი რინოკი. სექტემბერი.

გეგმის გადამეჭეებით

სუჯუნის (აბაშის რაიონი) ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მუშაკებს ნაკისრი ჰქონდათ ვალდებულება 1 სექტემბრამდე შეესრულებინათ წველადობის წლიური გეგმა. ნაკისრი ვალდებულების გასანადღლად კოლმეურნეებმა ენერგიული შრომა გააჩაღეს. საუკეთესოდ მოაწყეს ძროხების მოვლა და ამით უზრუნველყვეს წველადობის ზრდა.

ფერმის მუშაკებმა წველადობის წლიური გეგმა ვადამდე 2 თვით ადრე შეასრულეს. გეგმის გადამეტებით მიიღეს 1.130 კილოგრამი რძე, სულ კი 553.330 კილოგრამი.

წველადობის ზრდის საქმეში თავი ისახელეს მწველავებმა კ. მაღნარაძემ, ვ. ტოტოჩიამ და ვ. გუგუშვილმა. ისინი მთელ რაიონში მოწინავენი არიან. ფერმის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს სამეურნეო წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მიიღონ 12 ტონა რძე.

ი. თოდფარია.

მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

როგორ ვაღწევთ მაღალ პროდუქტიულობას

ჩვენი კოლმეურნეობისა და სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები მეორე წელია, რაც ერთმანეთს ეჯიბრებიან მეცხოველეობის ახალი მძლავრი აღმავლობის მისაღწევად. ორივე კოლმეურნეობის წევრები ხშირად ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენი მუშაობის გამოცდილებას. ეს ხელს გვიწყობს საზოგადოებრივი მეცხოველეობის წინსვლის საქმეში.

ამ უკანასკნელ წლებში ჩვენთან მეცხოველეობას დიდი ყურადღება მიექცა. პირუტყვისათვის გვაქვს კულტურულად მოწყობილი ბინები. მეცხოველეობის ფერმები დაკომპლექტებულია საქმის მცოდნე, გამოცდილი და შრომისმოყვარე კოლმეურნეებით.

კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე ა. ხიდაშელი) სერიოზულად იმუშავა ფერმის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის მოსაწყობად. ახლა მეძროხეობის ფერმაში პირუტყვისათვის კარგი პირობებია შექმნილი. კიდული გზით ძროხის საკვები გადაგვაქვს და ვანაწილებთ სპეციალურად მოწყობილ საკვებურებში.

გამოანგარიშებულია, რომ სარძეოსასაკონლო ფერმის პირუტყვს დღიურად სჭირდება საშუალოდ 10 ათას ლიტრამდე წყალი, ხოლო ფერმაში ამ წყლის მიტანისათვის ყოველდღე საჭირო იყო 6 მეფორნე თავიანთი ცხენებით. კოლმეურნეობამ წყლის მომარაგების მექანიზაციაც განახორციელა. წყალი გაყვანილია საკვების შემამზადებელ საამქროში და მოწყობილია პირუტყვის ავტომატური სარწყულებელი. აქ ძროხა სურვილისამებრ სვამს წყალს. მარტო ამ ღონისძიების განხორციელებით ძროხების წველადობამ საშუალოდ 12 პროცენტამდე იმატა. გარდა ამისა, ფერმაში დადგმულია საკვების დასაორთქლებელი მანქანა, კოპტონის სამსხვრევი, ძირხვენების სარეცხი და საჭრელი და უხეში საკვების საჭრელი მანქანა. ყოველივე ამან კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერება 30 პროცენტით გაზარდა.

მერძეული პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებას ხელს უწყობს მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. ყოველწლიურად თვითეულ ძროხაზე მარტო სილოსს ვამზადებთ 6 ტონამდე. წელს დავამზადეთ 1.136 ტონა თივა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 930 ტონისა. ასევე დიდი რაოდენობით გვაქვს ნამჯა. საკვები ჭარხალი გვითესია 15 ჰექტარზე. კარგი მოვლის შედეგად განზრახული გვაქვს თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 200 ცენტნერი საკვები, გეგმა კი 120 ცენტნერს ითვალისწინებს. უხეშ საკვებად ყოველწლიურად ვიყენებთ 430 ჰექტარზე აღებულ ჩალას.

კოლმეურნეობაში 12 ჰექტარზე დათესილი გვაქვს შვრია, რომელსაც მწვანე საკვებად ვიყენებთ. უკვე დავასილოსეთ 830 ტონა ესპარცეტი. გათვალისწინებული გვაქვს დავამზადოთ 1.400 ტონა სილოსი. ამისათვის ყოველმხრივ მზად ვართ.

აქ ფართოდ დანერგეთ ზოოტექნიკური მეცნიერების მიღწევები და მეცხოველეობის ისეთი პროგრესული მეთოდები, როგორიც არის ხბოების ხელზე კვება, მერძეული მაღალპროდუქტიული პირუტყვის ბაგური შენახვა. ფერმაში სავსებით აღკვეთილია ძროხების ბერწიანობა.

მტკიცედ ვიცავთ კვების სწორ რაციონს. კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი რეგულარულად, თვითეული ცხოველის ცოცხალი წონისა და პროდუქტიულობის გათვალისწინებით ადგენს კვების რაციონს და საკვების მიცემის გრაფიკს.

მეწველ ძროხებს ვკვებავთ მრავალფეროვანი ყუათიანი, წვნიანი საკვებით მათი ინდივიდუალური თვისებების, მერძეულობის, ცოცხალი წონის გათვალისწინებით.

თვითეულ მეწველ ძროხას დღეღამეში ვაძლევთ 5 კილოგრამ თივას, 6 კილოგრამ სიმინდის ჩალას, 4 კილოგრამამდე კონცენტრატებს, 15 კილოგრამამდე მწვანე ბარდას და ჭარხალს.

მეწველი ძროხების რაციონში შეგვაქვს აგრეთვე მინერალური საკვები — მარილი და ცარცი.

ზამთრის კარგ ამინდში ძროხები სუფთა ჰაერზე გაგვყავს დღეში ორიოდე საათით. ყოველდღიურად ვწმენდთ ძროხებს ჯაგრისით და ვბანთ თბილი წყლით. ძროხებს ვწველით დღეში ორჯერ. წველის წინ ცურს ვბანთ თბილი წყლით და ვუმშრალებთ ტილოთი. წველის წინ და წველის შემდეგ ვაწარმოებთ ცურის მასაჟს.

ასეთ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად კოლმეურნეობამ მიმდინარე სამეურნეო წლის წველადობის გეგმა ვადაზე ერთი თვით ადრე გადაჭარბებით შეასრულა. მეცხოველეობის ფერმაში, სადაც 170 ძროხა გვყავს, თვითეულზე მივიღეთ 1.453 ლიტრი რძე და ამით წლიურ გეგმას 153 ლიტრით გადავაჭარბეთ.

მთელ რაიონში გაითქვა სახელი მწველავმა ლიდა ჭითანავამ. იგი 11 ძროხას უვლის და საუკეთესოდ დაეუფლა პირუტყვის მოვლა-პატრონობას. მან თვითეულ ძროხაზე უკვე მიიღო 1.967 ლიტრი რძე და ახლა იმისათვის იბრძვის, რომ 1 ოქტომბრამდე კიდევ მიიღოს 200 ლიტრი რძე. ასეთივე მოწინავეები არიან თინა ფოცხვერაშვილი, ვარა აკოფაშვილი, ანეტა მანგაძე, ფატმან მამედოვა.

კოლმეურნეობაში კარგად ვუვლიო ხბოებს. მოგებული 194 ხბო მთლიანად შენარჩუნებულია. ამ საქმეში თავი ისახელეს ხბოს მომვლელებმა ვასო ფოცხვერაშვილმა, მამედ მამედოვმა და სხვებმა.

შრომის სწორად მოწყობა წარმატების საფუძველია. კოლმეურნეობის გამგეობამ სპეციალურად გამოყო ფერმაში აღმრიცხველი ნ. სტეფანია. იგი მუდამ ფერმაშია. სწორი აღრიცხვის შედეგად ყველა ფერმის მუშაკმა იცის, თუ რამდენი რძე აქვს მოწველილი. გარდა ამისა ზუსტად ვიცით საკვების რაოდენობა.

როცა კოლმეურნეობის საბუხჰალტრო ჩანაწერებს ათვალიერებთ, უწინარეს ყოვლისა თვალში გეცემათ მეცხოველეობით მიღებული ფულადი შემოსავლის ზრდა. წელს 1 სექტემბრისათვის მეცხოველეობამ კოლმეურნეობას 415 ათასი მანეთი შემოსავალი მისცა. ეს 50 ათასი მანეთით მეტია, ვიდრე შარშან ამავე დროს იყო. გარდა ამისა, თვითეული ლიტრი რძის მიღება დაჯდა ერთი მანეთი და 70 კაპიკი ნაცვლად შარშანდელი 2 მანეთისა და 30 კაპიკისა.

წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 59.962 ლიტრი რძე და ამით წლიური გეგმა მთლიანად გაანაღდა. სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულების საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევა გვაქვს. ახლა ვიბრძვით იმისათვის, რომ სახელმწიფო შესყიდვის ანგარიშში გეგმის გადამეტებით ჩავბაროთ 60 ათასი ლიტრი რძე.

მეცხოველეობის ფერმის მუშაკები ქმაყოფილი არიან თავიანთი შრომის ნაყოფით. კოლმეურნე ლ. ჭითანავამ მარტო შრომის დამატებითი ანაზღაურების წესით მიიღო 737 ლიტრი რძე. ასევე დიდი რაოდენობით მიიღეს რძე თ. ფოცხვერაშვილმა, ა. მანგაძემ, ვ. მამედოვამ და სხვ. სულ ფერმის მუშაკებზე პრემიის სახით გაცემულია 20 ათასი ლიტრი რძე.

ამჟამად გაცხოველებით ვემზადებით პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის. წელს ყველა სახის საკვები დამზადდება ორჯერ მეტი, ვიდრე წინა წელს იყო. 1 ოქტომბრამდე შევაკეთებთ პირუტყვის სადგომებს.

მიღწეულით არ ვკმაყოფილდებით. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მეცხოველეთა წინაშე დასახული ამოცანის წარმატებით განსახორციელებლად ფართოდ გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას, გამოვიყენებთ ყოველივე ახალს, მოწინავეს და მივცემთ სამშობლოს მეცხოველეობის მეტ პროდუქტებს.

მ. ბერძენაძე,

ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე.

• • •

სურათზე: მოწინავე მწველავებს (მარცხნიდან) თ. ფოცხვერაშვილსა და ლ. სულწაძეს კიდული გზით ძროხებისათვის გადაქვთ საკვები და ანაწილებენ სპეციალურად მოწყობილ საკვებურებში.

შეხვედრა გამარჯვებულებთან

მშობლიურ საქართველოს უბრუნდებიან სახელოვანი ახალგაზრდა ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებმაც შორეულ ყაზახეთში თავიანთი უანგარო შრომით ასახელეს საყვარელი სამშობლო. მათ გულთბილად ხვდებიან ნათესავები, მეგობრები, აგრეთვე ამხანაგები დაწესებულებებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან, საიდანაც ასინი წავიდნენ.

გუშინ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სასიხარულო დღე იყო. სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ხვდებოდნენ მოსავლის ასაღებად ინსტიტუტიდან წარგზავნილ ახალგაზრდებს.

აი სადგურიდან მომავალი მანქანების კოლონა მიუახლოვდა ინსტიტუტის შენობას. ზხიარული სახით გადმოდიან კუნთმაგარი, ჭიანისგან გარუჯული ჭაბუკები.

დღის ორი საათია. ინსტიტუტის ერთ-ერთ დიდ დარბაზში თავი მოუყრიათ პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, აქ არიან აგრეთვე დედაქალაქის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მიტინგს, მიძღვნილს ყამირ და ნასვენ მიწებზე მოსავლის ასაღებად წარგზავნილი ახალგაზრდების დაბრუნებისადმი, ხსნის ინსტიტუტის პარტკომის მდივანი გ. გიგაური. სიტყვას ამბობს ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ი. სარიშვილი.

— ჩვენ უდიდესი სიხარულის გრძნობით შევხვდით ცნობას იმის შესახებ, რომ ჩვენმა პატრიოტმა სტუდენტებმა ღირსეულად შეასრულეს მშობლიური პარტიის დავალება, თავიანთი დაუღალავი შრომით თავი ისახელეს პურეულის უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღების საქმეში, რისთვისაც მათ მიიღეს ადგილობრივი რაიონის გარდამავალი წითელი დროშა.

პროფესორი ი. სარიშვილი აღნიშნავს, რომ ყაზახეთში წარგზავნილ მოწინავე სტუდენტთა შრომითს მამაცობას მიბაძა ინსტიტუტის აქ დარჩენილმა 1.200-მდე სტუდენტმაც, რომლებიც ამჟამად ბეჯითად მუშაობენ საქართველოს ჩაის პლანტაციებში და ეხმარებიან კოლმეურნეებს ჩაის ფოთლის კრეფაში. ბევრმა მათგანმა ასახელა ინსტიტუტი, დაიმახსოვრა პარტიის მახარაძის რაიკომის გარდამავალი დროშა, მადლობები და საჩუქრები.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების სახელით პატრიოტ ახალგაზრდებს მიესალმნენ პროფესორები ვ. ქანთარია და ნ. ხომიზურაშვილი.

კათედრაზე ადის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ყაზახეთში წარგზავნილი ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი ი. ჩუბინიძე. იგი დამსწრეთ მოუთხრობს მისი ჯგუფის 22 სტუდენტის შრომითი მამაცობის შესახებ, რისთვისაც მათ დაიმსახურეს გარდამავალი წითელი დროშა.

— გარდა მოსავლის აღებისა, — ამბობს

სურათზე: კუსტანაის ოლქიდან დაბრუნებული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი თბილისის ვაგზალზე.

ფოტო შ. გოჭაძისა.

იგი, — ჩვენს სტუდენტებს მოუხდათ მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება. მათ კუსტანაის ოლქის ვედენკის რაიონში ააშენეს მცირე მოცულობის 18 სახლი, დახურეს კლუბს სახურავი და სხვ.

— მე მეჯირს, — ამბობს იგი, — დავასახელო, თუ რომელი უკეთ მუშაობდა. მაგრამ ყველას აჯობა ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტმა კომბაინერმა რ. აივაზოვმა. მან 40 სამუშაო დღეში გამოიმუშავა 273 შრომადღე.

სიტყვას ამბობს ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე ა. ჩიკვაიძე. მან აღნიშნა, თუ რა დიდ დახმარებას უწევდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჩასულ სტუდენტებს, ილაპარაკა იმ გულთბილ და მეგობრულ დამოკიდებულებაზე, რომელიც არსებობდა იქ რუს, ქართველ, ბელორუს, უკრაინელ, ჩუვაშ და სხვა პატრიოტ ახალგაზრდებს შორის.

— ჩვენმა სტუდენტებმა, — განაცხადა ა. ჩიკვაიძემ, — 40 სამუშაო დღეში გამოიმუშავეს 20.000 შრომადღე.

ყამირ და ნასვენ მიწებზე მყოფი ახალგაზრდების სახელით სიტყვები წარმოთქვეს მ. გვიჩიანმა, რ. აივაზოვმა, დ. ტვილდიანმა, ა. ზარბაზოიამ.

მიტინგზე ინსტიტუტის გარდამავალი დროშა გადაეცათ აგროეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტებს, რომლებსაც ი. ჩუბინიძე ხელმძღვანელობდა.

ლ. ხუბულური.

კულტურის სახლის მშენებლობა ჭიანურდება

თავდადებით შრომობენ ტყიბულელი მეშახტეები. ისინი ყოველდღიურად სულ უფრო მეტ ქვანახშირს აძლევენ დედა-სამშობლოს.

ოთხი წლის წინათ ქალაქის ცენტრში დაიწყო მეშახტეთა კულტურის სახლის მშენებლობა, მაგრამ მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს. მიმდინარე წლის დასაწყისში კულტსახლის მშენებლობაზე მუშაობა გაცხოველდა, მაგრამ ზაფხულში მშენებლობა მთლიანად შეჩერდა.

ამ საქმეს დაუდევრად ეკიდებიან „ტყიბულშახტმშენის“ ხელმძღვანელები, რომლებსაც კულტსახლის მშენებლობა აქვთ მინდობილი.

საინტერესოა, როდის ფიქრობენ მშენებლობის დამთავრებას?

ტ. ბაბრიჰიძე,
სტალინის სახელობის შახტის პარტიბიუროს მდივანი;

თ. ღვინეფაძე,
სამთო ინჟინერი;

შ. სოხაძე,
ქვანახშირის მნგრეველი.

• • •

რედაქციისაგან: რედაქციამ შეამოწმა თავისი კორესპონდენტის საშუალებით ამ წერილში მოყვანილი ფაქტის სისწორე და იგი დადასტურდა. ამასთან ერთად გამოირკვა, რომ ტყიბულში შეუწყნარებლად ნელი ტემპით აშენებენ პიონერთა სახლს, სასპორტო მოედანს, საცურავ აუზსა და საცხოვრებელ ბინებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მშენებლებმა ვერ აითვისეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებისა და საცხოვრებელი ბინების მშენებლობისათვის გამოყოფილი სამ მილიონზე მეტი მანეთი.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელები უნდა დაინტერესდნენ ამ საქმით და ქმედითი ღონისძიებები დასახონ.

სწავლა ახალ სკოლაში დაიწყეს

ოთხი წლის წინათ გაშენდა სოფელი გამარჯვება. გარდაბნის რაიონის ხრიოკ ტრამალზე გაჩნდა პირველი სახლები, დაიბადა მცენარეები, ოვრის წყალმა გააცოცხლა ეს მიდამო. ახე ჩაეყარა საფუძველი ახალ სოფელს.

სოფელში აშენდა ასობით ქვიტკირის სახლი, რომლებშიც ჩასახლდნენ ხევსურეთის მიუვალი სოფლების მცხოვრებნი.

მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის აშენდა კლუბი, აბანო, გაყვანილ იქნა ელექტროსინათლე, მუშაობს რადიო.

მიმდინარე სასწავლო წლის დაწყება სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის ნამდვილი ზეიმი იყო. მათ პირველ სექტემბერს სწავლა დაიწყეს ახალ ორსართულიან შენობაში. სკოლას საკმაო რაოდენობით აქვს საკლასო ოთახები და კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები. ეზოში მოეწყო სასპორტო მოედანი, აქვეა სასწავლო-საცდელი ნაკვეთი.

სოფელ გამარჯვების სკოლის მოსწავლეებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი ბეჯითი სწავლისათვის, მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებისათვის.

ტ. შაბურიშვილი,
სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე;

გ. ჭინჭარაული,
ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს განცხადება სუეცის საკითხზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო საბჭოთა პროფკავშირების სახელით თავის ხმას უერთებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა პროტესტს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ თავიანთი ბატონობა დაამყარონ სუეცის არხზე.

ამჟამად მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხარდაჭერით, ცდილობენ სუეცის პრობლემა გადაჭრან ძალით, იმტკრებიან სამხედრო ჩარევით სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. ეს შეშფოთებას იწვევს მთელი მსოფლიოს მშრომელებში, რომლებიც შეწუხებული არიან შექმნილი მდგომარეობით, რასაც ყველაზე სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

სუვერენული სახელმწიფოს კანონიერმა აქტმა — სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციამ, რომელიც მიმდინარე წლის 26 ივლისს გამოაცხადა ეგვიპტემ, არხისა, რომელიც ეგვიპტელებმა ააშენეს ეგვიპტის მიწაზე, გამოიწვია მტრული რეაქცია იმპერიალიზმის ბანაკში, კოლონიზატორების გააფთრება. ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტურმა წრეებმა, მიუხედავად ეგვიპტის მთავრობის ნათელი განცხადებისა, რომ შემდგომში დაიცავს 1888 წლის კონვენციას და მიიღო ღონისძიებანი არხში შეუფერხებელი ნაოსნობის უზრუნველსაყოფად, ეგვიპტის წინააღმდეგ მოაწყეს მტრობის ფართო კამპანია, თავს დაატეხეს ეგვიპტელ ხალხს ღვარძლიანი ცილისწამებისა და მუქარის ნაკადი. მათ დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოიყენეს ეკონომიური და სხვა სანქციები, მოაწყეს ძირგამომთხრელი ღონისძიებანი, რათა ჩაეშალათ ნაოსნობა არხში და ამრიგად დაემტკიცებინათ, თითქოს ეგვიპტეს არ შესწევს უნარი უზრუნველყოს მისი ნორმალური ფუნქციონირება. ყოველივე ამას თან ახლავს მუქარა, რომ გამოიყენებენ ძალას, საკითხს გადაჭრიან შეიარაღებული ჩარევის დახმარებით. სურთ თავს მოახვიონ ეგვიპტეს უცხოეთის მმართველობა არხზე, რომელიც მას ეკუთვნის, ეგრეთწოდებული „სუეცის არხთა მოსარგებლე ქვეყნების ასოციაციის“ დახმარებით.

ეგვიპტის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის ყველა ეს ცდა გამოხატავს ამკარა კოლონიალიზმს და სერიოზულ საფრთხეს უქადის მშვიდობას.

დასავლეთის სახელმწიფოების ხრიკებს მტკიცე წინააღმდეგობას უწევს ყველა ის, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესები. სუეცის საკითხის იარაღის ძალით გადაჭრის ცდების წინააღმდეგ პროტესტის ხმა აღიმაღლეს მრავალი ქვეყნის მშრომელებმა, ეროვნულმა და საერთაშორისო პროფკავშირულმა გაერთიანებებმა.

ამას წინათ დამთავრდა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესი, რომელმაც მიიღო საგანგებო რეზოლუცია. რეზოლუცია, სცნობს რა ეგვიპტის სუვერენულ უფლებებს და არხის დიდ მნიშვნელობას საერთაშორისო საქმეებში, აცხადებს, რომ სუეცის საკითხის გადაჭრისას „ძალა არ უნდა იყოს გამოყენებული“.

საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაცია, რომელიც მხარს უჭერს სუეცის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას, აღნიშნავს, რომ პოზიცია, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ დაიკავა ამ საკითხში, შეიცავს ეგვიპტესა და საფრანგეთს შორის სამხედრო კონფლიქტის საფრთხეს და სერიოზულ ზიანს აყენებს საფრანგეთის ინტერესებს.

ინდონეზიის პროფკავშირთა უდიდესი გაერთიანების — ინდონეზიის პროფკავშირთა საყოველთაო ცენტრალური ორგანიზაციის ეროვნულმა საბჭომ, შეაფასა რა სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია როგორც თავისი დამოუკიდებლობისათვის ეგვიპტელი ხალხის ბრძოლის ნაწილი, მოუწოდა მუშათა ყველა ორგანიზაციას მზად იყვნენ იმისათვის, რომ იმოქმედონ ინგლისისა და საფრანგეთის კომპანიების წინააღმდეგ ინდონეზიაში, თუ ეგვიპტის წინააღმდეგ გამოყენებული იქნება ძალა.

არაბთა ქვეყნების პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციის სამდივნომ, მიესალმება რა მშრომელთა საერთო გაფიცვას, რომელიც 16 აგვისტოს მოეწყო არაბთა ქვეყნებში სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ ეგვიპტის გადაწყვეტილებისადმი სოლიდარობის ნიშნად, განაცხადა, რომ თავდასხმა არაბთა ერთ-ერთ ქვეყანაზე იქნება თავდასხმა მთელ არაბთა სამყაროზე.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ მიმართა ეროვნულ პროფკავშირულ ცენტრებს აქტიურად დაუჭირონ მხარი ეგვიპტის მშრომელებს მათ ბრძოლაში თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებისათვის, მიაღწიონ იმას, რომ სუეცის საკითხი გადაიჭრას მშვიდობიანი გზით, აიძულონ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები დაიცვან თავიანთი ვალდებულებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების წინაშე.

სუეცის საკითხის მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრის შესახებ განცხადებებითა და მოთხოვნებით გამოვიდა მშრომელთა ბევრი სხვა ეროვნული პროფკავშირული ცენტრი და ორგანიზაცია.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო პროფკავშირთა 45 მილიონი წევრის სახელით აცხადებს, რომ იგი სოლიდარობას უცხადებს და მხარს უჭერს ეგვიპტელ მშრომელებს მათს სამართლიან ბრძოლაში თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. პოლიტიკა მუქარისა, ეკონომიური რეპრესიებისა და ბლოკადისა, რომელთა გამოყენებას ცდილობენ დასავლეთის სახელმწიფოები ეგვიპტის წინააღმდეგ, გამოხატავს იმპერიალისტთა მისწრაფებას შეინარჩუნონ კოლონიალიზმის პოზიციები ახლო და შუა აღმოსავლეთში, გამოხატავს იმის ცდას, რომ ჩაახშონ პატარა ერის ძნელად მოპოვებული თავისუფლება. სუეცის საკითხი შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი საშუალებებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მოთხოვნების და ეგვიპტის სუვერენულ უფლებათა პატივისცემის ზუსტი შესაბამისობით.

უერთდება რა ეროვნულ და საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციათა გამოსვლებს, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ მთელი მსოფლიოს მშრომელები და მათი პროფკავშირული ცენტრები მტკიცე წინააღმდეგობას გაუწევენ იმპერიალისტებს, გზას გადაუღობავენ სამხედრო ავანტიურას, რასაც ისინი აწყობენ, და მხარს დაუჭერენ ეგვიპტეს მის მისწრაფებაში მშვიდობიანი გზით გადაიჭრას სუეცის საკითხი.

ეგვიპტელი ხალხი იცავს მართალ და სამართლიან საქმეს. კოლონიალიზმის ეპოქა ახლო და შუა აღმოსავლეთში სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. ეგვიპტეს მხურვალედ თანაუგრძნობს და აქტიურად უჭერს მხარს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

შეთანხმება საქონელგაცვლის შესახებ სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კოოპერაციულ ორგანიზაციებს შორის

მოსკოვში დამთავრდა მოლაპარაკება ცენტროსოიუზისა და უნგრეთის კოოპერატივების კავშირის წარმომადგენლებს შორის.

სრული ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ვითარებაში წარმოებული მოლაპარაკების შედეგად ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეებმა ამხანაგებმა პ. ა. კობანოვმა და ს. ტ. კოტოვმა და უნგრეთის კოოპერატივების კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ზ. ვაშმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს ურთიერთსასარგებლო საფუძველზე საქონელგაცვლის შესახებ.

ცენტროსოიუზი უნგრეთის კოოპერატორებს მიაწვდის მსუბუქ ავტომობილებს, მოტოციკლებს, სარეცხ მანქანებს, საათებს, ფოტოაპარატებს და სხვა საქონელს სხვადასხვა ფსოვილების, ფეხსაცმლის, საკერავი მანქანებისა და სახალხო მოხმარების სხვა საქონლის საცალოდ.

ცენტროსოიუზის გამგეობამ და უნგრეთის კოოპერატივების კავშირის ხელმძღვანელობამ კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მხარეები ესწრაფვიან საქონელგაცვლის შემდგომ მნიშვნელოვან გაფართოებას, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კოოპერაციულ ორგანიზაციებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

ცენტროსოიუზისა და უნგრეთის კოოპერატივების კავშირის წარმომადგენლებმა მოლაპარაკების მსვლელობაში აღნიშნეს, რომ სხვადასხვა ქვეყნების კოოპერაციულ ორგანიზაციებს შორის სავაჭრო ურთიერთობის განხორციელება შეესაბამება საერთაშორისო კოოპერაციული ერთიანობის გაძლიერების ინტერესებს, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

პარტიული ცხოვრება

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში

„ხტზ“ მარკის ტრაქტორზე მოწყობილი შესაწამლი მანქანით კოლმეურნეები ვენახს წამლავდნენ. იქვე მყოფ ბრიგადირ მ. ბათხაძეს ახალგაზრდა კომუნისტი ე. ჭეხაშვილი გამოელაპარაკა:

— მიხეილ, თუ ხათრი გაქვს, აგვიხსენი, რამდენით ამცირებს შრომის დანახარჯს ეს მანქანა?

— ამ მანქანით დღეში 6 ჰექტარ ვენახს შევწამლავთ და მას მხოლოდ ორი კაცი მოემსახურება. ჩანთიანი აპარატით კი, როგორც ვიცით, ამ სამუშაოს შესრულებას ამავე დროში 20-22 კაცი დასჭირდება. მაშასადამე, თუ გამოვიანგარიშებთ, წელს კოლმეურნეობას მანქანის გამოყენებით მარტო ვენახის წამლობა მარშანდელთან შედარებით 1.224 შრომადღით ნაკლები დაუჯდება, — უპასუხა ბრიგადირმა.

— მიიღონ უხვი მოსავალი შრომისა და სახსრების ნაკლები დახარჯვით! — აი ამოცანა, რომლის გადასაწყვეტადაც იბრძვიან ახლა კოლმეურნეები.

პარტიის XX ყრილობის შემდეგ საკოლმეურნეო ეკონომიკის შესწავლას უფრო მტკიცედ მოჰკიდეს ხელი ასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ამ საქმით უწინარეს ყოვლისა დაინტერესდნენ კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, კომუნისტები.

კოლმეურნეობის ბუხჰალტერიას საყურადღებო ციფრები აქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომითი დანახარჯების შემცირების შესახებ. ეს ციფრები მეტყველებენ, რომ კოლმეურნეობის მუშაობა მარტო პროდუქტების მოსავლიანობის გაზრდით კი არ ამოიწურება, არამედ, რაც მთავარია, იგი პროდუქციის ერთეულის

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის გამოცდილებიდან

წარმოების თვითღირებულების შემცირებასაც აღწევს.

მაგალითისათვის ავიღოთ ისეთი ძვირფასი კულტურა, როგორიც არის სიმინდი. 1954 წელს კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 17,2 ცენტნერი სიმინდი მიიღო და თვითეული ცენტნერის მოყვანაზე 4,3 შრომადღე დახარჯა. 1955 წელს კი საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 34,2 ცენტნერი სიმინდი, ამასთან თვითეული ცენტნერის წარმოებაზე 2,3 შრომადღე დაიხარჯა.

— რამ უზრუნველყო პროდუქციის გაიაფება და მოსავლიანობის ზრდა? — შეეკითხეთ კოლმეურნეობის პარტბიუროში თავმოყრილ კომუნისტებს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, კომუნისტმა ა. მაჭარაშვილმა ამ კითხვაზე ასეთი პასუხი გასცა:

— 1955 წელს სიმინდი მთლიანად მზრალად მოხნულ ნიადაგში დავთესეთ, ჩავატარეთ ნათესის ორმხრივი კულტივაცია, ხოლო შარშანწინ კულტივაცია არ ჩაგვიტარებია. ამასთან გასულ წელს კარგად მოვუვარეთ სიმინდს და კარგი შედეგიც მივიღეთ. 1954 წელს კი თესვა დავაგვიანეთ, დასამალავი არ არის — სიმინდს მოვლაც დავაკელით. რაც მთავარია, შარშან პირველად განვახორციელეთ დიდ ფართობზე სიმინდის პროგრესული წესით — კვადრატულ-ბუდობრივად თესვა. ამ წესით დათესილი ფართობიდან 6-7 ცენტნერით მეტი მოსავალი მივიღეთ, ვიდრე მწკრივად ნათესიდან, და მის დამუშავებაზეც 20-25 პროცენტით ნაკლები შრომადღეები დაგვეხარჯა. შრომადღეების ხარჯვის შემცირებით იმას მივაღწიეთ, რომ მიღებული პროდუქციაც შედარებით იაფი დაგვიჯდა. წელს უკეთესი მაჩვენებლები გვექნება: 200 ჰექტარიდან 100 ჰექტარზე კვადრატულ-ბუდობრივად გვითესია სიმინდი.

— მაგრამ ამასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, — ჩაერია საუბარში კოლმეურნეობის აგრონომი, კომუნისტი ალ. ბუდაღაშვილი, — რომ მოსავლიანობის გასაადიდებლად და პროდუქციის ერთეულის წარმოების თვითღირებულების შესამცირებლად მთლიანად როდია გამოყენებული კოლმეურნეობის შინაგანი რეზერვები და საშუალებანი. ამას მოწმობს მემინდვრეობის პირველი და მესამე ბრიგადების მუშაობის მაგალითი. ამ ბრიგადებს გასულ წელს ერთმანეთის გვერდით, ერთნაირ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. მესამე ბრიგადამ სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უფრო მაღალი მოსავალი მოიყვანა. მიღებული პროდუქციაც პირველ ბრიგადასთან შედარებით იაფი დაუჯდა იმიტომ, რომ ამ ბრიგადამ დაიცვა თესვის აგროწესები, ხოლო შემდეგ სანიმუშოდ მოაწყო ნათესების მოვლა-პატრონობა. წარმატებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ბრიგადაში კარგად არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია, შრომადღეები ყაირათიანად იხარჯება. მემინდვრეობის პირველმა ბრიგადამ კი შრომადღეების გადახარჯვა დაუშვა. მაგალითად, სიმინდის მოყვანაზე გადახარჯა გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 150 შრომადღით მეტი, ამასთან დაარღვია ნათესების მოვლის აგროტექნიკური ვადები, დროულად არ ჩაატარა რწყვა.

— მემინდვრეობის პირველმა ბრიგადამ შარშან რომ ცუდად იმუშავა, — დაუმატა კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ა. პაპუაშვილმა, — ამაში პარტბიუროსაც მიუძღვის ბრალი. პარტბიურო, პირველადი პარტიული ორგანიზაცია აქამდე საჭირო ყურადღებას არ უთმობდნენ კოლმეურნეობის შინაგანი რეზერვების გამოვლენებასა და გამოყენებას პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომითი დანახარჯების შესამცირებლად. საკოლმეურნეო წარმოების ანგარიშის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ შეგვიძლია ამ საქმეში წარმატებები გვქონდეს. წელს ამას აუცილებლად მივაღწევთ. შრომის ნაყოფიერების გადიდების ღონისძიებათა განხორციელებაში კარგად გვეხმარება პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი სემინარი, რომელშიც 22 კაცია გაერთიანებული.

შრომის ნაყოფიერება მნიშვნელოვნად იზრდება საარტელო მეურნეობის სხვა დარგებშიც. 1954 წელს თვითეული ცენტნერი შაქრის ჭარხლის მიღება კოლმეურნეობას 1,1 შრომადღე დაუჯდა, ხოლო შარშან — 0,6 შრომადღე. წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდება.

პროდუქციის თვითღირებულება მეცხოველეობის ფერმებშიც მცირდება. 1954 წელთან შედარებით 1955 წელს თვითეული ცენტნერი რძის წარმოება კოლმეურნეობას 0,44 შრომადღითა და 40 მანეთით ნაკლები დაუჯდა. ამასთან შარშან წინა წელთან შედარებით თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 229 ლიტრით მეტი რძე. მაგრამ კოლმეურნეობას რძის წარმოება ჯერ კიდევ ძვირი უჯდება. ფერმაში განხორციელებული არ არის შრომატევადი სამუშაო პროცესების მექანიზაცია. ამ საქმის გაკეთება კი დიდად აამაღლებდა შრომის ნაყოფიერებას.

მიმდინარე წლის ივნისში კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებამ სპეციალურად განიხილა საკითხი კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების ღონისძიებათა შესახებ. კრებაზე კომუნისტებმა — მწყემსმა გ. ბათილაშვილმა, ბრიგადირმა თ. ხუციშვილმა, კოლმეურნე ი. ტენტერაშვილმა, მეძროხეობის ფერმის გამგემ წ. პაპუაშვილმა და სხვებმა მეტად საინტერესო და საქმიანი წინადადებები წამოაყენეს.

— რისთვის ვაძლევთ ყოველ სეზონში მთესლავ-ტექნიკოსს 225 შრომადღეს, როცა შეიძლება ეს მოვალეობა მეძროხეობის ფერმის ვეტფერშალმა შეასრულოს?

— განა არ შეიძლება მეფრინველეობის ფერმაში მომუშავეთა რიცხვიც შევამციროთ? რა საჭიროა ღამის ყარაულები!

— რატომ არ ვახორციელებთ სარძეო-სასაქონლო ფერმაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციას? ეს ხომ ბევრ მუშახელს გაათავისუფლებს?

— ელექტროდენი გვაქვს, სეპარატორს კი ხელით ვამუშავებთ. განა ძნელია მისი ელექტროენერგიით ამოქმედება? მაშინ ამ საქმიდან ერთ კაცს გავათავისუფლებთ და შრომადღეებსაც დავზოგავთ.

— სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის აშკარა უპირატესობაში კოლმეურნეობაში პრაქტიკულად ყველა დარწმუნდა. გვაქვს ისეთი ფართობები, სადაც სიმინდის თესვა ამ წესით შეიძლება. მაშ რა გვიშლის ხელს, რომ მომავალი წლიდან სიმინდი მთელ ფართობზე მხოლოდ პროგრესული წესით დავთესოთ?

— მოსავლის აღებაშიც რატომ გაბედულად არ უნდა ვნერგავდეთ პროგრესულ ხერხებსა და მეთოდებს? უნდა მოვაწყოთ მექანიზებული კალო.

აი როგორი პრაქტიკული საკითხები წამოაყენეს კომუნისტებმა პარტიულ კრებაზე. კრებამ განხილული საკითხის გამო მიიღო კონკრეტული დადგენილება. ამ დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლას მეორე დღესვე პარტბიურო, თვით კომუნისტები ჩაუდგნენ სათავეში.

ამას წინათ კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე იმსჯელეს პარტიულ კრების მიერ მიღებული დადგენილებით გამგეობის წინაშე დაყენებული საკითხების შესრულების მიმდინარეობაზე. მეძროხეობის ფერმაში გაუქმდა აღმრიცხველის შტატი. ეს საქმე თვით ფერმის გამგეს დაევალა. მთესლავ-ტექნიკოსის მოვალეობის შესრულება ფერმის ვეტფერშალს დაეკისრა. გამგეობის სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება მეძროხეობის ფერმაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განსახორციელებლად. საამისოდ უკვე შეუდგნენ მასალებისა და მოწყობილობის შეძენას. გადაწყდა ახლო ხანში მეფრინველეობის ფერმის ეზო შემოიღობოს მავთულის ბადით. საჭირო ზომებია მიღებული აგრეთვე სხვა საკითხების მოსაგვარებლად.

...ქვემო ჭალაში წარმატებით ჩატარდა პურეულის მოსავლის აღებაც. კოლმეურნეებმა წელს პირველად მოაწყეს მექანიზებული კალო, სადაც დადგეს მარცვალსანიავებელი და მარცვალსაწმენდი მანქანები, ათტონიანი სასწორი. მექანიზებულმა კალომ მნიშვნელოვნად დაჩქარა და გააადვილა კოლმეურნეთა შრომა, ერთი ტონა მარცვლის გაწმენდაზე შრომის დანახარჯი შარშანდელთან შედარებით თითქმის სანახევროდ შემცირდა. კომბაინის ბუნკერიდან გადმოტვირთული მარცვალი სასწორზე პირდაპირ იწონებოდა ავტომანქანით და მას აღარ ჭირდებოდა ტომრებით გადმოცლა, რაზეც წინათ საკმაოდ ბევრი მუშახელი იყო დაბანდებული.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომითი დანახარჯის შემცირების ერთგვარი გამოცდილება შეიძინეს. საჭიროა ამ გამოცდილების განმტკიცება, ხოლო შემდეგ რაიონის სხვა კოლმეურნეობებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში დანერგვა. ეს პარტიის კასპის რაიკომის გადაუდებელი ამოცანაა.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მოსკოვში ჩამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების დელეგაცია

17 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით მოსკოვში ჩამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების თავმჯდომარე ლი ენი, უმაღლესი სახალხო კრების თავმჯდომარის მოადგილე ხონ გი ხვანი, კრების დეპუტატები კო ხი მანი, ლი სეკ ბო, კიმ მუ სამი.

სსრ კავშირისა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე პ. პ. ლობანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. მ. არუშანიანი და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე დედაქალაქის მშრომელთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სტუმრებს მიართვეს ყვავილების თაიგულები.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას მიესალმა სსრ კავშირის უმაღლესი სახალხო ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრებისა და ყველა ჰამოსულთა სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ლი ენმა.

• • •

ჰამოსვლის შემდეგ კორეის პარლამენტის დელეგაციამ ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს პ. პ. ლობანოვსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ტ. ლაცისს. სტუმრები მიიღეს კრემლის დიდ სასახლეში. საუბარს დაესწრო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული სსრ კავშირში პაკ დოკ ჩვანი.

დელეგაციის წევრებმა გამოთქვეს სურვილი ამოგზაურონ საბჭოთა კავშირში. ისინი მოავლიან ლენინგრადს, სტალინგრადს, დონის როსტოვს, სვერდლოვსკს, ირკუტსკს, აგრეთვე უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, საქართველოს ქალაქებს, ეწვევიან სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, უდიდეს ახალშენებებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს, შეხვდებიან სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს. (საკდესი).

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წერილი პრემიერ-მინისტრ ნერუსადმი

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა პეგერტიმ გუშინ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ნერუს გაუგზავნა პირადი წერილი. პეგერტიმ აღნიშნა, რომ ეს წერილი ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს წერილის პასუხია და რომ მისი ტექსტი არ გამოქვეყნდება.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ტოპლერი დელიდან იუწყება, რომ ამ წერილში ეიზენჰაუერი ატყობინებს ნერუს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ „განაგრძონ თავიანთი გეგმის განხორციელება ეგრეთწოდებული „სუეცის არხით მოსარგებლეთა ასოციაციის“ შესაქმნელად“.

როგორც იუწყებიან პრესის სააგენტო იუწყება, ინდოეთის საელჩომ ვაშინგტონში, დაადასტურა რა, რომ ნერუსა და ეიზენჰაუერს შორის მიმდინარეობს მიწერ-მოწერა, რომელიც ეხება სუეცის არხს, აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრი ნერუ „კატეგორიულად წინააღმდეგია „არხით მოსარგებლეთა ასოციაციის“ შექმნის გეგმისა და რომ იგი „ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა“.

XII საჭადრაკო ოლიმპიადა

ჭინ არის საბჭოთა კავშირის გუნდი

18 სექტემბერს საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში გაიმართა ოლიმპიადის ფინალური შეჯიბრების დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. გროსმაისტერმა კერესმა ძნელ დაბოლოებაში გამარჯვება მოიპოვა ჩეხოსლოვაკიის ოსტატ რეიფირეზე. ამრიგად, სსრ კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მატჩის ანგარიშია 3,5:0,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

იუგოსლავია-რუმინეთის მატჩში გროსმაისტერმა გლიგორიჩმა მოუგო ბალანელს (რუმინეთი), ხოლო მატანოვიჩი ყაიმზე შეთანხმდა ჩოკილტიასთან (რუმინეთი). იუგოსლავია-რუმინეთის მატჩის ანგარიშია 2:2.

არგენტინელი გროსმაისტერი პილნიკი არ გამოცხადდა დარგთან (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) პარტიის დასამთავრებლად, და დამარცხება ჩაეთვალა. ამ შედეგმა გამარჯვება მოუპოვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს არგენტინაზე ანგარიშით 2,5:1,5. ისრაელის გუნდის შეჯიბრებაში ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკეებთან გროსმაისტერმა პახმანმა შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მოუგო ჩერნიაკს (ისრაელი).

კვლავ ისახელა თავი ლამაზი კომბინაციური თამაშით ახალგაზრდა დანიელმა ლარსენმა, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა რუმინელ მოჭადრაკე ბალანელზე.

მეშვიდე ტურის შემდეგ ოლიმპიადის ლიდერია საბჭოთა კავშირის გუნდი, რომელმაც 19,5 ქულა მოაგროვა 28 შესაძლებელში. იუგოსლავიის გუნდს 18 ქულა აქვს. უნგრეთის მოჭადრაკეებს აქვთ 16,5 ქულა, არგენტინისას — 15 ქულა.

ფინალური შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა 4 ტური.

20 სექტემბერს გაიმართება ოლიმპიადის მერვე ტური. (საკდესი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პასუხი ეგვიპტის მთავრობის ნოტაზე სუეცის არხის საკითხის შესახებ

პეკინი, 18 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტომ გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პასუხი ეგვიპტის რესპუბლიკის მთავრობის 1956 წლის 10 სექტემბრის ნოტაზე სუეცის არხის საკითხის შესახებ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, ნათქვამია პასუხში, მიიღო ეგვიპტის მთავრობის 1956 წლის 10 სექტემბრის ნოტა სუეცის არხის საკითხზე და პატივი აქვს განაცხადოს შემდეგი:

1. თავისი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დასაცავად ეგვიპტის მთავრობამ განახორციელა სამართლიანი მოქმედება — 1956 წლის 26 ივლისს მოახდინა სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია. ამ სამართლიან მოქმედებას თავიდანვე სავსებით დაუჭირეს მხარი ჩინეთის მთავრობამ და ხალხმა. ჩინეთის მთავრობისა და ხალხის პოზიცია სუეცის არხის საკითხში ვრცლად იყო ჩამოყალიბებული განცხადებაში ამ საკითხზე, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გააკეთა 1956 წლის 15 აგვისტოს.

2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, როგორც ქვეყანა, რომელიც სულ უფრო მეტად სარგებლობს სუეცის არხით, მუდამ მხარს უჭერდა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას ეგვიპტის სუვერენიტეტისა და ღირსებისათვის ზიანის მიუყენებლად, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა არხით მოსარგებელი ყველა დაინტერესებული ქვეყანა, რათა გამოენახათ სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლების საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების გონივრული ხერხი.

თავის 15 აგვისტოს განცხადებაში ჩინეთის მთავრობა იუწყებოდა, რომ მხურვალედ უჭერს მხარს ეგვიპტის მთავრობის 12 აგვისტოს წინადადებას საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის თაობაზე.

შეიძლება მხოლოდ სინანული გამოითქვას, რომ ინგლისი, საფრანგეთი და შეერთებული შტატები არ დათანხმდნენ ეგვიპტის მთავრობის ამ გონივრულ წინადადებაზე და ისე შორს წავიდნენ, რომ ცალმხრივად, ეგვიპტესთან კონსულტაციის გაუწევლად, მოიწვიეს 22 ქვეყნის ლონდონის თათბირი. მას შემდეგ, რაც ეგვიპტემ სავსებით სამართლიანად თქვა უარი თათბირში მონაწილეობაზე, თათბირმა აშკარად ვერ გამონახა სუეცის არხის საკითხის გადაწყვეტა, რომელიც მისაღები იქნებოდა ყველა დაინტერესებული ქვეყნისათვის, და თუნდაც ასეთ თათბირზე მიღწეული ყოფილიყო ერთსულოვანი დასკვნა, მას სულ ერთია ძალა არ ექნებოდა ეგვიპტის თანხმობის მიუღებლად.

ლონდონის თათბირზე ინდოეთმა შეიტანა წინადადება, რომელიც პატივს სცემს ეგვიპტის სუვერენიტეტსა და ღირსებას და რომელსაც მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირის, ინდონეზიისა და ცეილონის დელეგატებმა, რომლებიც თათბირში მონაწილეობდნენ. მაგრამ ინდოეთის ამ გონივრულ წინადადებაზე, რომელსაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა სუეცის არხის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება, ინგლისს, საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებს არ მიუცია თავი, როგორც ეს უნდა ყოფილიყო, კეთილსასურველი პასუხი. დასავლეთის ქვეყნებმა შეიტანეს ეგრეთწოდებული ლონდონის გეგმა, რომელიც, არსებითად, ეგვიპტის საშინაო საქმეებში ჩარევა და მისი სუვერენიტეტის ხელყოფაა. ეგვიპტის მთავრობამ, მოთმინებით მოისმინა რა „ხუთი ქვეყნის“ კომიტეტის ახსნა-განმარტება, სავსებით სწორად თქვა უარი მიეღო ეს გეგმა.

3. უარყო რა ლონდონის გეგმა, ეგვიპტის მთავრობამ თავისი 10 სექტემბრის ნოტით წამოაყენა წინადადება, რომ შეიქმნას ორგანო მოლაპარაკების საწარმოებლად, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სუეცის არხით მოსარგებელი სახელმწიფოთა სხვადასხვა თვალსაზრისი. ამით მან ცხადყო თავისი ურყევი მისწრაფება მშვიდობისადმი. ჩინეთის მთავრობამ მხურვალედ დაუჭირა მხარი ეგვიპტის მთავრობის ამ წინადადებას და მზად არის ყოველი ღონე იხმაროს, რათა ხელი შეუწყოს მის განხორციელებას.

4. მშვიდობიანი მოლაპარაკების პოზიციის საწინააღმდეგოდ, რომელსაც თანმიმდევრულად იცავს ეგვიპტის მთავრობა, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები თავიდანვე ძლიერ ზეგავლენას ახდენდნენ ეგვიპტეზე, მიმართავდნენ სამხედრო მუქარასა და პროვოკაციებს და აიძულეს სუეცის არხში მომუშავე უცხოელთა ტექნიკური პერსონალი დაეტოვებინა თავისი პოსტები, რათა ხელი შეეშალათ არხში ნორმალური ნაოსნობისათვის და შეეთითხნათ მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის საბაბი. შეერთებულმა შტატებმა დაიკავეს პოზიცია, რომელიც ფაქტიურად განმტკიცებს ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო მუქარას. 12 სექტემბერს ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ ინგლისი, საფრანგეთი და შეერთებული შტატები შექმნიან ეგრეთწოდებულ „სუეცის არხით მოსარგებლეთა ასოციაციას“, რითიც ესწრაფვიან აშკარად წაართვან ეგვიპტეს მისი წმიდა სუვერენიტეტი და ძალით აიღონ თავიანთ ხელში სუეცის არხის მართვა. ინგლისის, საფრანგეთისა და შეერთებული შტატების მთავრობებმა უკვე განაცხადეს, რომ მალე გაიმართება თათბირი, რომელზეც დაწვრილებით განიხილავენ ამ ავანტიურისტულ გეგმას, რომელიც შეიცავს ძალის გამოყენების მუქარას. ამას შეუძლია მხოლოდ კიდევ უფრო გაართულოს ვითარება სუეცის არხის გარშემო.

5. ინგლისის, საფრანგეთისა და შეერთებული შტატების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სუეცის არხის მართვის ძალით ჩაგდებას საკუთარ ხელში, წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების აშკარა დარღვევას. ეს სერიოზული პროვოკაციაა არა მარტო ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ, არამედ არაბთა ყველა სახელმწიფოს და აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნების წინააღმდეგაც, აგრეთვე ყველა მშვიდობისმოყვარე და სამართლიანი ქვეყნის და მთელი მსოფლიოს ხალხთა წინააღმდეგ. თუ ინგლისი, საფრანგეთი და შეერთებული შტატები არ შეჩერდებიან უფსკრულის პირას დგომას, არ იტყვიან სამხედრო პროვოკაციის თავიანთ გეგმაზე, ისინი გარდუვალად წაიწყდებიან ყველა მშვიდობისმოყვარე და სამართლიანი ქვეყნისა და ხალხის, მათ შორის თვით ინგლისის, საფრანგეთისა და შეერთებული შტატების ხალხების წინააღმდეგობას. ეგვიპტე არაა სიდეს არ იქნება მარტო. ჩინეთი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად მტკიცედ დგას ეგვიპტის მხარეზე და სრულ მხარდაჭერას გაუწევს ეგვიპტელი ხალხის სამართლიან ბრძოლას მისი ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის.

6. ჩინეთის მთავრობა გადაჭრით წინააღმდეგია ინგლისის, საფრანგეთისა და შეერთებული შტატების სამხედრო გეგმისა, რომლებსაც სურთ ძალით ჩაიგდონ ხელში სუეცის არხის მართვა. იგი გადაჭრით უჭერს მხარს მშვიდობიანი მოლაპარაკების პოზიციას, რომელიც ეგვიპტის მთავრობამ დაიკავა. ჩინეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ეგვიპტის მთავრობის წინადადების საფუძველზე სავსებით შესაძლებელია შეთანხმების მიღწევა ამ საკითხებზე, რომლებიც ეხება სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლებას, დაინტერესებული ქვეყნების მშვიდობიანი მოლაპარაკების საშუალებით ეგვიპტის სუვერენიტეტისა და ღირსების პატივისცემის პრინციპის შესაბამისად. ასეთი შეთანხმება აგრეთვე სასარგებლო იქნება ყველა ქვეყნისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ეგვიპტის მუდმივი წარმომადგენლის ლიუტფის ნოტა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი

კაირო, 18 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ეგვიპტის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ომარ ლიუტფიმ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გადასცა ეგვიპტის მთავრობის ნოტა.

ნოტაში ნათქვამია:

1. 1956 წლის 26 ივლისს ეგვიპტის მთავრობამ მიიღო სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის კანონი. საფრანგეთისა და შეერთებული სამეფოს მთავრობები თავიანთ 1956 წლის 12 სექტემბრის ერთობლივ წერილში უშიშროების საბჭოსადმი ამტკიცებდნენ, რომ ეგვიპტის მთავრობა „ცდილობდა ცალმხრივი აქტით გაეუქმებინა სუეცის არხის საერთაშორისო ექსპლოატაციის სისტემა, რომელიც დადასტურდა და დამთავრდა 1888 წლის კონვენციით სუეცის არხის შესახებ“.

ეს მტკიცება აბსოლუტურად მოკლებული იყო ყოველგვარ იურიდიულ, ისტორიულ ან მორალურ საფუძველს. 1888 წლის კონვენციის მე-14 მუხლის ნათელი დებულებანი იმის შესახებ, რომ „ამ კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებანი არ იქნება შეზღუდული კონცესიის მოქმედების ვადით, რომელიც მიეცა სუეცის არხის საყოველთაო კომპანიას“, გადაჭრით ამტკიცებენ ამ თეზისის სიყალბეს, რომელიც წამოაყენეს საფრანგეთმა და შეერთებულმა სამეფომ. სუეცის არხის კომპანიის შექმნის ისტორია და გარემოებანი და მათი ურთიერთკავშირი კონვენციასთან, აგრეთვე ამ კომპანიის მუდმივი სტატუსის წარმოუდგენლობა ოდნავაც ვერ განმტკიცებენ ამ თეზისს. მეორე მხრივ, კანონი, რომლის საფუძველზეც სუეცის არხის კომპანია ნაციონალიზებულ იქნა, ითვალისწინებდა აქციონერთა სრულ და სამართლიან კომპენსაციას და არხის სამართავად დამოუკიდებელი ორგანოს შექმნას დამოუკიდებელი მიუჯერეთით. ამასთან ამ ორგანოს მიენიჭა ყველა საჭირო უფლებანი ისე, რომ ისინი არ ყოფილა შეზღუდული მთავრობის წესებითა და სისტემებით. ნაციონალიზაციასთან ერთად ეგვიპტის მთავრობამ დაადასტურა, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც უზრუნველყოს არხში მიმოსვლის თავისუფლება 1888 წლის კონვენციის შესაბამისად.

2. ამ ფაქტის მიუხედავად, რომ ნაციონალიზაციის აქტი ეგვიპტემ მიიღო თავისი სუვერენული უფლებების სრული განხორციელების წესით და რომელიმე ქვეყნის უფლებების შეულახავად ან დაურღვევლად, საფრანგეთისა და შეერთებული სამეფოს მთავრობებმა ამ აქტის პასუხად გააკეთეს განცხადებანი, რომლებიც შეიცავენ ძალის გამოყენების მუქარას, და განახორციელეს შეიარაღებული ძალების მობილიზაციის ღონისძიებანი, აგრეთვე მათი გადაყვანა. ეგვიპტის წინააღმდეგ მიღებულ იქნა აგრეთვე მტრული ეკონომიური ღონისძიებანი. საფრანგეთისა და შეერთებული სამეფოს მთავრობები სუეცის არხის ყოფილი კომპანიის ზოგიერთ წარმომადგენელთან ერთად აქეზებდნენ სუეცის არხში მომუშავე მოსამსახურეებსა და ლოცმანებს მიეტოვებინათ მუშაობა, ცდილობდნენ რა მოეხდინათ არხის ექსპლოატაციის საბოტაჟი.

3. საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს და შეერთებული შტატების მთავრობებმა 21 ქვეყანა, მათ შორის ეგვიპტე, მიიწვიეს ლონდონის კონფერენციაზე სუეცის არხისათვის საერთაშორისო ორგანოს შექმნის შესახებ წინადადების განსახილველად. 12 აგვისტოს ეგვიპტის მთავრობამ გამოაცხადა უარი მონაწილეობა მიეღო კონფერენციაში, რომელიც ეგვიპტესთან კონსულტაციის გაუწევლად მოწვეული იყო იმისათვის, რომ განეხილათ ეგვიპტის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილის მომავალი ბედი. უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ეგვიპტის მთავრობამ 1956 წლის 12 აგვისტოს გამოაცხადა, რომ იგი მზად არის კონსტანტინოპოლის 1888 წლის კონვენციის ხელისმოსაწერ სხვა მთავრობებთან ერთად მოიწვიოს კონფერენცია კონვენციის გადასასინჯავად, ჯერ კიდევ არ მომხდარა რაიმე მოლაპარაკება ეგვიპტესთან.

4. ეგვიპტის მთავრობამ გულმოდგინედ შეისწავლა მის განსახილველად წარდგენილი წინადადებანი და სხვადასხვა თვალსაზრისი, რომლებიც გამოთქვა სუეცის არხის საკითხზე როგორც თვით ლონდონის კონფერენციაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. 10 სექტემბერს ეგვიპტის მთავრობამ კვლავ გამოთქვა რწმენა, რომ შეიძლება გამოინახოს და უკანონოდ ცუნდა გამოინახოს ის საკითხთა მოწესრიგების მშვიდობიანი მეთოდები, რომლებიც ეხება:

ა) არხში ნაოსნობის თავისუფლებასა და უშიშროებას;

ბ) არხის განვითარებას ნაოსნობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად მომავალში; და

გ) ყველასათვის სამართლიანი და თანასწორი გამოსაღებისა და ბაჟის დაწესებას.

ამ მიზნით ეგვიპტის მთავრობამ შეიტანა წინადადება, რომ, როგორც პირველი ნაბიჯი, შეექმნათ ორგანო მოლაპარაკებისათვის, რომელსაც დაევალებოდა აგრეთვე კონსტანტინოპოლის 1888 წლის კონვენციის გადასინჯვა და რომელიც იქნებოდა სუეცის არხით მოსარგებლე სახელმწიფოთა სხვადასხვა თვალსაზრისის წარმომადგენელი, და რომ დაუყოვნებლივ მოეწყოთ მსჯელობა ასეთი ორგანოს შემადგენლობის, მისი თათბირის ადგილისა და თარიღის საკითხის გადასაჭრელად. ეგვიპტის მთავრობის აზრით, მოსალაპარაკებლად შექმნილი ასეთი ორგანოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ ეგვიპტისა და არხით მოსარგებლე დაახლოებით 8 ქვეყნის წარმომადგენლები. ამ ქვეყნების არჩევის შესახებ შეთანხმება შეიძლებოდა დიპლომატიური არხების საშუალებით.

5. ეგვიპტის მთავრობამ დღემდე 21 ქვეყნისაგან მიიღო ოფიციალური შეტყობინება ამ წინადადების მიღების შესახებ.

6. ეგვიპტის მთავრობის მშვიდობიანი და შემარიგებელი პოზიციისაგან განსხვავებით შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა 1956 წლის 12 სექტემბრის განცხადებაში თემთა პალატაში თქვა, რომ ინგლისის მთავრობამ, სხვა მთავრობებთან ერთად, გადაწყვიტა, რომ „დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას ორგანიზაცია, რომელიც არხით მოსარგებლეებს შესაძლებლობას მისცემს განახორციელონ თავიანთი უფლებები. მოსარგებლეთა ასოციაცია გამოიყენებს ლოცმანებს და იკისრებს პასუხისმგებლობას არხში მიმოსვლის კოორდინაციისათვის... მიმოსვლისათვის გამოსაღებს გადაუხდიან მოსარგებლეთა ასოციაციას და არა ეგვიპტის ხელისუფალთ“. შემდეგ მან განაცხადა, რომ „თუ ეგვიპტის მთავრობა ეცდება ხელი შეუშალოს ასოციაციის მოქმედებას ან უარს იტყვის გაუწიოს მას საჭირო მინიმალური თანამშრომლობა, მაშინ ეს მთავრობა ერთხელ კიდევ დაარღვევს 1888 წლის კონვენციას“.

7. ეგვიპტის მთავრობას მიაჩნია, რომ განზრახული „მოსარგებლეთა ასოციაცია“ შეუთავსებელია ეგვიპტის ღირსებასა და სუვერენულ უფლებებთან. იგი წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და 1888 წლის კონვენციის აღმაშფოთებელ დარღვევას. „მოსარგებლეთა ასოციაცია“ იმ სახით, როგორითაც იგი წარმოდგენილია შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის განცხადებაში, ეცდება შექმნას უპრეცედენტო ორგანიზაცია იურისდიქციით, რომელსაც იგი მიითვისებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ სახელმწიფოს თანხმობის მიუღებლად. ასეთი ჩანაფიქრი ერთსულოვნად დაგმო ეგვიპტეს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. ინდოეთმა, ინდონეზიამ, ცეილონმა, ბირმამ, ეთიოპიამ, ავღანეთმა, ეგვიპტეს, ირანმა, ლიბანმა, ლიბიამ, ნეპალმა, ფინეთმა, ფილიპინებმა, ეთიოპიამ, ავღანეთმა, ეგვიპტეს, ირანმა, ლიბანმა, ლიბიამ, ნეპალმა, ფინეთმა, ფილიპინებ